საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-250

15/03/2020

ქ. თბილისი

შპს „ველი გრუპის“ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვაზიანის მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის 5.3 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვაზიანის მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N23 (10.03.2020წ.);
2. შპს „ველი გრუპმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N23 (10.03.2020წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ველი გრუპს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ველი გრუპის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი